თბილისი ენერჯი

მიცკევიჩის ქ.№18ა, თბილისი, 0194, საქართველო
ს/კ 205129617; +995 (32) 2404004; info@te.ge; www.te.ge

№ 01-77-150523-25
24 / 06 / 2025

შპს „ს-5“-ის დირექტორს
აკაკი ჩხაიძეს

ბატონო აკაკი,

თქვენი მიმდინარე წლის 11 ივნისის №01-77-150523-25 განცხადების პასუხად, რომელიც ეხება ქალაქი თბილისი, ალაზანის შესახვევი №5-ის მიმდებარედ; არმაზის ქუჩა №31-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი: №01.17.01.087.013) დაგეგმილ სამშენებლო სამუშაოებთან დაკავშირებით პოზიციას და გენგეგმის დამოწმებას გაცნობებთ, რომ კომპანია არ არის წინააღმდეგი მოიპოვოთ სამშენებლო სამუშაოების წარმოების ნებართვა.

ამასთან, საკადასტრო ერთეულზე, დაგეგმილი სამუშაოების წარმოების ეტაპზე, გაზსადენის აღმოჩენის შემთხვევაში, საჭიროა შეაჩეროთ მშენებლობა და დაუყოვნებლივ აცნობოთ შპს „თბილისი ენერჯი“-ს.

მოთხოვნის თანახმად გიგზავნით შპს „თბილისი ენერჯი“-ს ბეჭდით დამოწმებულ გენგეგმას.

შეთანხმება ძალაშია 6 (ექვსი) თვის ვადით.

დანართი: დამოწმებული გენგეგმა-1 ფურცელი.

პატივისცემით,

გიორგი გოგინაშვილი
დირექტორი ტექნიკურ საკითხებში

საფუძველი: 1. საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2010 წლის 14 აპრილის №1-1/525 ბრძანების - „გაზის სისტემების უსაფრთხოების ზოგადი მოთხოვნების“ წესები და СНиП 2.04.08-87*. 2. საქართველოს მთავრობის 2014 წლის 22 იანვრის დადგენილება №101 (გაზის სისტემების უსაფრთხოების ზოგადი მოთხოვნების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე).



STUDIO 9
შპს სტუდია 9
ს/კ 404429515

შპს თბილისი ენერჯი
TBILISI ENERGY LTD
შეთანხმებულია
ტექნიკური დოკუმენტაცია
სარეგისტრაციო № 01-77-150523-25
24 | 06 2025 წ.

STUDIO 9 architecture design construction	საპროექტო ორგანიზაცია: Company name:	Web. studio9.ge Email. interiordesign@studio9.ge Mob. +995 599 88 44 80 Adres. 30 Lubliana Str.Tbilisi მის. თბილისი, ლუბლიანას ქ. N30
	დამკვეთი: Customer:	შ.პ.ს. "ს-5"
	პროექტის დასახელება: Job title:	#Project Name
	ობიექტის მისამართი: Address:	თბილისი, შესახვევი ალაზანი N5 -ის მიმდებარედ, ქუჩა არმაზის N31
	შენიშვნა: Notes:	1. ნახაზზე ზომები მოცემულია მილიმეტრებში. 2. მშენებლობის პროცესში ნებისმიერი ცვლილება უნდა შეთანხმდეს პროექტის ავტორთან. 3. ფურცლის კორექტირებით ავტომატურად უქმდება წინა ვერსიები.

შემსრულებლები: Performers:

თანამდებობა	სახელი.გვარი	ხელმოწერა
დირექტორი	ა. ჩხაიძე	
მთ.არქიტექტ.	გ. ჩხაიძე	
არ. ავტორი	გ. ჩხაიძე	
არქიტექტორი	ნ. ლომიძე	
შემოწმება		

ნახაზის დასახელება: Drawing title:	გენ.გეგმა	
პროექტის სტადია: Drawing stage:	###	
თარიღი: Date:	11.06.2025	202
ფურც. რაოდ. Pages	97	ფორმ. Form.
ფურცელი № Index	97	A3
მასშტაბი Drawing Scale	1:500	

შეთანხმება უძრავი ქონების ვალდებულებით დატვირთვისა და პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების შესახებ	**Agreement Real Estate Encumbrance and Hold-harmless Agreement**
წინამდებარე შეთანხმება (შემდგომში „**შეთანხმება**") დადებულია ქ. თბილისში, 2024 წლის 23 ივლისს შემდეგ მხარეებს შორის:	This Agreement (hereinafter "**Agreement**") is concluded in Tbilisi, on 23 ივლისს of 2024 between the following parties:
ერთი მხრივ, შპს **„ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი"**, ს/ნ 203826002 (შემდგომში **„GWP"**), წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის ხოსე მიგელ სანტოს გონზალეზის მიერ; და	On the one hand, **"Georgian Water and Power"** LLC, I/N 203826002 (hereinafter **"GWP"**), represented by its general director Jose Miguel Santos Gonzalez; and
მეორე მხრივ, **შპს „ს-5"** საიდენტიფიკაციო ნომერი: 400099237 (შემდგომში **„მესაკუთრე"**) წარმოდგენილი მისი დირექტორის **ბეჟან მესხის,** პირადი ნომერი: 01014001787, მიერ	On the other hand, **S'5 LLC** identification number: 400099237 (hereinafter **"Owner"**) represented by its director Bezhan Meskhi, identification number: 01014001787.
„GWP" და „მესაკუთრე" ერთობლივად მოხსენიებულნი როგორც **„მხარეები"**, ხოლო ცალ-ცალკე - როგორც **„მხარე"**;	"GWP" and "Owner" collectively referred to as **"Parties"** and separately as **"Party"** ;
ვინაიდან, (ა) „მესაკუთრის" საკუთრების უფლებით საჯარო რეესტრში რეგისტრირებულია 1554.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (შემდგომში **„მიწის ნაკვეთი"**), მისამართი: ქალაქი თბილისი, ალაზნის შესახვევი, N5-ის მიმდებარედ; არმაზის ქ. N31; საკადასტრო კოდი: 01.17.01.087.013; შენობა-ნაგებობების ჩამონათვალი N1.	**Whereas,** (a) 1554.00 square meters of non-agricultural land plot (hereinafter referred to as **"Plot of Land"**) is registered in the public register under the title of the "Owner", address: Tbilisi City, Alazani Lane N5, Armazi Street N31; Cadastral code: 01.17.01.087.013; List of buildings N1.
(ბ) წინამდებარე შეთანხმების გაფორმების მომენტისთვის, „მიწის ნაკვეთზე" მდებარეობს შენობა-ნაგებობა (შემდგომში **„ნაგებობა"**), აღნიშნულ შენობა ნაგებობასა და ალაზნის ქუჩაზე მდებარე წყალარინების დ=200 მმ-იან ქსელს შორის დარღვეულია სამშენებლო ნორმებითა და წესებით გათვალისწინებული მოთხოვნა, რომ დაშორება წყალარინების მილიდან ნებისმიერ შენობა-ნაგებობამდე უნდა იყოს არანაკლებ 3 მეტრი;	(b) At the time of the signing of this agreement, a building-structure (hereinafter referred to as "the building") is located on the "Plot of Land", between the said building and the D=200 mm water supply network located on Alazni Street, the requirement stipulated by construction norms and rules to distance the building from any water supply pipe is violated. - there should be at least 3 meters to the building;
(გ) მიწის ნაკვეთის მიმდებარედ ასევე გაედინება „GWP"-ს მფლობელობაში არსებული წყალსადენის დ=110 მმ-იანი და 250 მმ-იანი მილები (შემდგომში **„მილი/მილები"**). თუ	(c) D=110 mm and 250 mm pipes of the water pipeline owned by "GWP" (hereinafter referred to as "pipe/pipes") will also flow near the plot of land. If the owner constructs a building/structures, the requirement established by the construction norms and rules regarding the said pipes will be violated,

ბეჟან მესხი

JOSE MIGUEL SANTOS GONZALEZ

მესაკუთრე ააშენებს შენობა ნაგებობას/ნაგებობებს, აღნიშნულ მიწებთან მიმართებით დაირღვევა სამშენებლო ნორმებითა და წესებით დადგენილი მოთხოვნა, რომ დაშორება წყალმომარაგების მილიდან ნებისმიერ შენობა-ნაგებობამდე დაშორება უნდა იყოს არანაკლებ 5 მეტრი, ხოლო წყალარინების მილიდან არანაკლებ 3 მეტრი;	that the distance from the water supply pipe to any building-structure must be at least 5 meters, and from the drainage pipe at least 3 meters;
(დ) „მილის/მილების“ დაზიანებისას, „მიწის ნაკვეთზე“ მდებარე „ნაგებობასა“ და მომავალში აშენებულ ნაგებობებს შესაძლებელია მიადგეს ზიანი (ზარალი);	(d) In case of damage to the "pipe/pipes", the "building" located on the "plot" and the buildings built in the future may suffer damage (losses);
ამდენად, 1. წინამდებარე შეთანხმების მიზნებისთვის, ტერმინი **„მესაკუთრე“** გულისხმობს, როგორც „მიწის ნაკვეთის“ ამჟამინდელ მესაკუთრეს, ასევე მის ნებისმიერ უფლებამონაცვლეს ან/და სამართალმემკვიდრეს, ისევე როგორც იმ ნებისმიერ პირს (იქნება ეს ფიზიკური პირი, იურიდიული პირი თუ სხვა სახის ორგანიზაცია), რომელიც მომავალში შეიძენს საკუთრების უფლებას მიწის ნაკვეთზე ან/და მასზე განთავსებულ ნებისმიერ სხვა ქონებაზე ან მათ ნებისმიერ ნაწილზე.	**Therefore,** 1. For the purposes of this Agreement, the term **Owner** means both the current owner of the Plot of Land, as well as any successors and/or legal successors thereof, as well as any person (be it a natural person, legal entity or other type of organization) who in the future will acquire ownership rights to the Plot of Land and/or any other property located on it or any part thereof.
2. „მესაკუთრე“ კისრულობს ვალდებულებას, მილის/მილების დაზიანების/გაუმართაობის შემთხვევაში, დღე-ღამის ნებისმიერ მონაკვეთში უზრუნველყოს „GWP“-ის შესაბამისი სამსახურების ან/და მისი ქვეკონტრაქტორების (რაც ასევე მოიცავს მათ შესაბამის სამშენებლო ტექნიკასა და მაქანა-მოწყობილობებს) შეუფერხებელი და ოპერატიული დაშვება „მესაკუთრის“ კუთვნილ „მიწის ნაკვეთზე“, თუკი ეს საჭირო გახდება „მილის/მილების“ საავარიო/სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩასატარებლად.	2. In case of Pipe/Pipes damage/malfunction, if it is necessary for carrying out emergency/rehabilitation works of the Pipe/Pipes, the Owner obliges itself to ensure unhindered and immediate access to the Owner's Plot of Land at any time of day or night of the relevant divisions of GWP and its subcontractors (which includes their respective construction equipment and machinery).
3. „მესაკუთრე“ გარანტიას იძლევა, რომ იგი მშენებლობის პროცესში დაიცავს ყველა აუცილებელ უსაფრთხოებისა და ტექნიკურ ზომას, რათა თავიდან იქნას აცილებული "მილის/მილების" დაზიანება. ასევე იძლევა პირობას, რომ იგი მშენებლობის პროცესში "მილთან/მილებთან" მიმართებით მიიღებს აუცილებელ უსაფრთხოების ზომებს მესამე	3. The Owner guarantees that he will observe all necessary safety and technical measures during the construction process to avoid damage to the Pipe/Pipes. It also promises that it will take the necessary safety measures in relation to the Pipe/Pipes during the construction process to protect the safety of third parties and persons involved in the construction process. In case of the Pipe/Pipes damage/malfunction passing through the Plot of Land and adjacent to it caused by the fault of the Owner or the persons hired by the Owner, the Owner obliges itself to compensate on the basis of written request of

ჯოსე მიგელ სანტოს გონზალეს JOSE MIGUEL SANTOS GONZALEZ

პირებისა და მშენებლობის პროცესში ჩართული პირების უსაფრთხოების დასაცავად. „მესაკუთრე“ კისრულობს ვალდებულებას, მისი ან/და მის მიერ დაქირავებული პირების ბრალით „მიწის ნაკვეთზე“ და მის მიმდებარედ განთავსებული „მილის/მილების“ დაზიანების/გაუმართაობის შემთხვევაში, „GWP“-ის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე, ამგვარი მოთხოვნიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში, სრულად აუნაზღაუროს „GWP“-ს დაზიანებული „მილის“ აღდგენასთან და განხორციელებულ სამშენებლო/სარეაბილიტაციო სამუშაოებთან დაკავშირებით გაწეული დასაბუთებული ხარჯები.	GWP, within 30 (thirty) days as of such request the costs of justified expenses incurred in connection with the restoration of the damaged Pipe and the construction/rehabilitation works carried out in full.
4. „მესაკუთრე“ წინასწარ აცხადებს თანხმობას, მისი ადგილზე არყოფნის შემთხვევაში, აუცილებლობიდან გამომდინარე, „GWP“-ის ან/და მისი შესაბამისი ქვე-კონტრაქტორის თანამშრომლებმა, „მილის/მილების“ საავარიო/სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარების მიზნით, მიიღონ ადეკვატური ზომები, რაც შეიძლება შეზღუდვის გარეშე მოიცავდეს ეზოს/მიწის საფარის ნაწილის მოხსნას, გათხრას ან/და საჭიროების შემთხვევაში, ღობის ნაწილ(ებ)ის დემონტაჟს ან/და სხვა სახის ნაგებობ(ებ)ის დემონტაჟს .	4. The Owner agrees in advance that, in case of his/her/its absence from the site, if necessary, in order to carry out the emergency/rehabilitation work of the Pipe/Pipes, GWP's and/or its respective sub-contractor's employees may take adequate measures, which may include without limitation, the removal of a portion of the yard/ground cover, digging and/or, if necessary, dismantling part(s) of the fence and/or dismantling other type of structure(s).
5. „მიწის ნაკვეთის“ მიმდებარედ განთავსებული „მილის/მილების“ დაზიანების/გაუმართაობის შემთხვევაში, ისევე, როგორც ხსენებული დაზიანების აღმოფხვრის/ლიკვიდაციის სამუშაოების წარმოების შემთხვევაში (ეზოს/მიწის საფარის ნებისმიერი დაზიანება ან/და საჭიროების შემთხვევაში, ღობის ნაწილ(ებ)ის ან/და სხვა სახის ნაგებობ(ებ)ის დემონტაჟის აუცილებლობა), „GWP“-ს არ დაეკისრება პასუხისმგებლობა, ხოლო „მესაკუთრე“ ათავისუფლებს GWP-ს პასუხისმგებლობისგან „მესაკუთრისთვის“ „მიწის ნაკვეთზე“ განთავსებული ობიექტების დაზიანებით (ეზოს/მიწის საფარის ნებისმიერი დაზიანება ან/და საჭიროების შემთხვევაში, ღობის ნაწილ(ებ)ის ან/და სხვა სახის ნაგებობ(ებ)ის დემონტაჟი) მიყენებულ ნებისმიერი სახის ზიანისთვის (ზარალისთვის), იქნება ეს პირდაპირი თუ ირიბი ზიანი (ზარალი),	5. If the Pipe/Pipes located on adjacent to the Plot of Land is damaged/malfunctions, as well as in the case of the elimination/liquidation works of the mentioned damage (any damage to the yard/ground cover and/or, if necessary, to the part(s) of the fence and/or if other type(s) of structure(s) need to be dismantled), GWP relieves itself from any liability for damages incurred by the Owner for damages caused to the objects located on the Plot of Land (any damage to the yard/ground cover and/or, if necessary, fence part(s) and/or dismantling of other type of structure(s) for any kind of damage (loss), whether it is direct or indirect damage (loss), material or immaterial, actual or lost profit and/or other. The Owner will be fully responsible for such damage.

JOSE MIGUEL SANTOS GONZALEZ

მატერიალური თუ არამატერიალური, ფაქტობრივი თუ მიუღებელი შემოსავალი ან/და სხვა. ასეთი სახის ზიანზე, სრულად პასუხისმგებელი იქნება „მესაკუთრე“.	6. Owner antecedently, unconditionally and irrevocably waives its right to existing and future claims (rights to claim), (regardless whether its direct or indirect damage (loss) material or non-material, actual or loss of profit etc.) related to the damage/malfunction of the Pipe/Pipes passing on the Plot of Land and adjacent to it and/or damages incurred by the Owner and/or person(s) inside the Building and/or damage (loss) caused to the other objects located on the Plot of Land caused by Pipe/ Pipes damages/malfunctions elimination/eradication works performed by GWP or damages which are direct result of such works.
6. „მესაკუთრე“ წინასწარ, უპირობოდ და გამოუთხოვადად, უარს აცხადებს ყველა არსებულ თუ სამომავლო მოთხოვნაზე (მოთხოვნის უფლებაზე), რაც უკავშირდება „მიწის ნაკვეთზე“ და მის მიმდებარედ გამავალი „მილის/მილების“ დაზიანების/გაუმართაობის ან/და „GWP“-ის მიერ „მილზე/მილებზე“ დაზიანების/გაუმართაობის აღმოფხვრის/ლიკვიდაციის შედეგად „მესაკუთრისთვის“ ან/და „მიწის ნაკვეთზე“ მდებარე შენობა-ნაგებობაში განთავსებული პირ(ებ)ისთვის „ნაგებობის“ ან/და „მიწის ნაკვეთზე“ განთავსებული სხვა ობიექტის დაზიანებით მიყენებულ ზიანს (ზარალს) (იქნება ეს პირდაპირი თუ ირიბი ზიანი (ზარალი), მატერიალური თუ არამატერიალური, ფაქტობრივი თუ მიუღებელი შემოსავალი და სხვა) ან გამომდინარეობს აღნიშნულიდან.	7. In case, at any time after the signing (entry into force) of this Agreement, in connection with the damage (loss) resulting from the damage of the Pipe/Pipes passing through the territory of the Plot of Land caused by the fault of the Owner or from the construction/rehabilitation works carried out for the purpose of eliminating/eradicating the damage, any third party makes any kind of claim or demand to GWP, such claim and/or demand shall be satisfied by the Owner. In addition, if GWP is charged or has to pay any kind of sums in favor of any third party as a result of the said claim and/or demand, Owner shall compensate GWP for the sums paid to all third parties (including judicial and extrajudicial costs provided for by the Georgian Civil Procedure Code).
7. იმ შემთხვევაში, თუ წინამდებარე „შეთანხმების“ გაფორმების (ძალაში შესვლის) შემდეგ, ნებისმიერ დროს, „მიწის ნაკვეთის“ ტერიტორიაზე და მის მიმდებარედ გამავალი „მილის/მილების“ „მესაკუთრის“ ბრალით დაზიანებიდან ან დაზიანების აღმოფხვრის/ლიკვიდაციის მიზნით წარმოებული სამშენებლო/სარეაბილიტაციო სამუშაოებიდან გამომდინარე ზიანთან (ზარალთან) დაკავშირებით, რომელიმე მესამე მხარე განუცხადებს რაიმე სახის პრეტენზიას ან წაუყენებს რაიმე სახის მოთხოვნას „GWP“-ს, ასეთი სახის პრეტენზიის ან/და მოთხოვნის დაკმაყოფილების ვალდებულებას საკუთარ თავზე იღებს „მესაკუთრე“. ამასთან, თუკი „GWP“-ს აღნიშნული პრეტენზიის ან/და მოთხოვნის შედეგად რომელიმე მესამე მხარის სასარგებლოდ დაეკისრება ან მოუწევს რაიმე სახის თანხების გადახდა, „მესაკუთრე“ კისრულობს ვალდებულებას, აუნაზღაუროს „GWP“-ს ყველა მესამე მხარისათვის გადახდილი თანხები (მათ შორის საქართველოს სამოქალაქო	

JOSE MIGUEL SANTOS GONZALEZ

საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული სასამართლო და სასამართლოსგარეშე ხარჯები).	8. Owner shall introduce this Agreement and its contents to any new purchaser in case of alienation of the "Plot of Land" and/or any part of it.
8. „მესაკუთრე“ კისრულობს ვალდებულებას „მიწის ნაკვეთის“ და ან მისი ნებისმიერი ნაწილის გასხვისების შემთხვევაში, გააცნოს წინამდებარე „შეთანხმება“ და მისი შინაარსი ნებისმიერ ახალ შემძენს.	9. This Agreement shall enter into force and become binding upon its signature by the Parties.
9. წინამდებარე „შეთანხმება“ ძალაში შედის და შესასრულებლად სავალდებულო ძალას იძენს „მხარეების“ მიერ მისი ხელმოწერისთანავე.	10. Parties confirm to understand the content of this Agreement, that it expresses the free will of the Parties and that they have expressed their will in the result of reasonable consideration of the content of this Agreement.
10. „მხარეები“ ადასტურებენ, რომ მათ გაცნობიერებული აქვთ წინამდებარე შეთანხმების შინაარსი, იგი ზუსტად გამოხატავს „მხარეთა“ თავისუფალ ნებას და რომ მათ მიერ ნების გამოვლენა მოხდა შეთანხმების შინაარსის გონივრული განსჯის შედეგად.	11. This Agreement shall be governed and construed in accordance with the current legislation of Georgia.
11. წინამდებარე „შეთანხმება“ რეგულირდება და განიმარტება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.	12. Disputes between the Parties related to or arising from this Agreement shall be settled through negotiation. If the Parties fail to reach an agreement through negotiation, then the Parties will apply to the court of Georgia of applicable jurisdiction to resolve the dispute.
12. „მხარეთა“ შორის წინამდებარე „შეთანხმების“ ირგვლივ წამოჭრილი ან მისგან გამომდინარე ნებისმიერი დავა უნდა გადაწყდეს მოლაპარაკების გზით. იმ შემთხვევაში, თუ „მხარეები“ ვერ შეძლებენ შეთანხმების მიღწევას, დავა განსახილველად გადაეცემა საქართველოს შესაბამისი განსჯადობის სასამართლოს.	13. The invalidity of any provision of this Agreement does not lead to the invalidity of its other provision(s) and/or this Agreement as a whole. Instead of the invalid provision, such a provision shall be used, which more easily achieves the purpose provided by this Agreement (including the invalid provision).
13. წინამდებარე შეთანხმების რომელიმე დებულების ბათილობა არ იწვევს მისი სხვა დებულებ(ებ)ის ან/და მთლიანად წინამდებარე შეთანხმების ბათილობას. ბათილი დებულების ნაცვლად, გამოიყენება ისეთი დებულება, რომლითაც უფრო ადვილად მიიღწევა წინამდებარე შეთანხმებით (მათ შორის ბათილი დებულებით) გათვალისწინებული მიზანი.	14. This Agreement replaces and supersedes all other prior written or oral contracts, agreements, transactions and/or reservations between the Parties regarding the subject matter of this Agreement.
14. წინამდებარე „შეთანხმება“ ცვლის და აუქმებს „მხარეებს“ შორის შეთანხმების საგანთან დაკავშირებით მანამდე არსებულ ყველა სხვა წერილობით თუ ზეპირ ხელშეკრულებას, შეთანხმებას, გარიგებას ან/და დათქმას.	15. This Agreement shall apply without limitation to the successors and legal successors of the Parties, binds them and has effect in their favor.

JOSE MIGUEL SANTOS GONZALEZ

15. წინამდებარე „შეთანხმება“ შეუზღუდავად ვრცელდება „მხარეების“ უფლებამონაცვლეებზე და სამართალმემკვიდრეებზე, ავალდებულებს მათ და მოქმედებს მათ სასარგებლოდ. 16. „მხარეები“ კისრულობენ ვალდებულებას უზრუნველყონ წინამდებარე „შეთანხმების“ რეგისტრაცია საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში. წინამდებარე „შეთანხმების“ რეგისტრაციასთან დაკავშირებული ხარჯები გადაიხდება მესაკუთრის მიერ. 17. წინამდებარე „შეთანხმება“ შედგენილია ქართულ ენაზე და ახლავს თარგმანი ინგლისურ ენაზე. ამ „ხელშეკრულების“ ქართულ ტექსტსა და ინგლისურ თარგმანს შორის ნებისმიერი, შეუსაბამობის შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება ქართულ ტექსტს. 18. წინამდებარე „შეთანხმება“ შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ორი გადაეცემა „მხარეებს“, ხოლო ერთი წარედგინება საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს სარეგისტრაციოდ. ყოველივე ზემოაღნიშნულის დასტურად, „მხარეებმა“ უზრუნველყვეს წინამდებარე „შეთანხმების“ ხელმოწერა, ზემოთ პირველად აღნიშნულ თარიღზე.	16. The Parties undertake to ensure the registration of this Agreement in the National Agency of Public Registry. The costs related to the registration of this Agreement shall be paid by the Owner. 17. This Agreement is executed in Georgian language and is accompanied by its translation in English. In case of any discrepancies between the Georgian text and the English translation of this Agreement the Georgian text shall prevail 18. This Agreement is executed in three copies bearing equal legal force, two for the Parties and one to be submitted to the National Agency of Public Registry for registration. IN WITNESS WHEREOF, the Parties have executed this Agreement on the date first mentioned above.
„მესაკუთრე“ **შპს „ს-5)** საიდენტიფიკაციო ნომერი: 400099237 **ბეჟან მესხი** დირექტორი	**GWP** **შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“/"Georgian Water and Power" LLC** საიდენტიფიკაციო ნომერი/Identification Number 203826002, **ხოსე მიგელ სანტოს გონზალეზ** გენერალური დირექტორი JOSE MIGUEL SANTOS GONZALEZ

ე, ნოტარიუსი **ირმა შარვაძე** /სანოტარო ბიურო მდებარე: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას 42/ მიმიწვიეს სანოტარო მოქმედების შესასრულებლად **ჯუღელის 10-ში,** სადაც მომმართა: **ხოსე მიგელ სანტოს გონზალეზმა** (დაბადების თარიღი: 10.08.1968წ.; ესპანეთის მოქალაქის პასპორტის № PAL859388, გაცემის თარიღი: 22.04.2021, მოქმედების ვადა: 22.04.2031, **გაცხ. მისამართი:** ესპანეთი, ლეონი, მოზონდიგა 24250, სან მარტინის ქუჩა 17). მან წარმოადგინა ორენოვანი (ქართულ-ინგლისური) შეთანხმება და მოითხოვა მასზე თავისი ხელმოწერის სანოტარო წესით დამოწმება.

ხოსე მიგელ სანტოს გონზალეზმა განაცხადა, რომ არ ფლობს ქართულ ენას, წერს და კითხულობს ინგლისურად. მან წარმოადგინა თარჯიმანი **მანანა გვილავა (დაბადებული 17.08.1953 წელს, პირადი #62001029329, გაცხადებული მისამართი: ქ.თბილისი, მუხიანი 2 მ/რ, კორ. 4, ბინა 90),** ჩემს მიერ დადგენილ იქნა მოწვეული თარჯიმნის პირადობა, შევამოწმე თარჯიმნის ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. მე გავაფრთხილე თარჯიმანი, რომ იგი პასუხს აგებს თარგმანის სისწორეზე. მან განაცხადა, რომ იგი ჯეროვნად ფლობს ქართულ და ინგლისურ ენებს და იძლევა სწორი თარგმანის გარანტიას. წარმოადგინა **ინგლისური ენის თარჯიმნის (სერტიფიკატი N Aჩ -516, გაცემული უცხო ენების სასწავლო ცენტრის მიერ 12.04.2019წ)** მხარემ და თარჯიმანმა დაადასტურეს თარჯიმნის გამომრიცხავი გარემოებების არ არსებობის შესახებ. შევამოწმე: მათი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მათ ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ გამაჩნია. ვადასტურებ: დოკუმენტზე ხელმოწერა შესრულებულია პირადად მათ მიერ ჩემი თანდასწრებით, რასაც ვამოწმებ.

შენიშვნა: მე, არ ვადასტურებ დოკუმენტში მოყვანილი ფაქტების ნამდვილობას, შინაარსზე და სამართლებრივ შედეგებზე პასუხს არ ვაგებ.

გადახდილია საზღაური **3** ეგზემპლარზე **6** გვერდიან დოკუმენტზე შესრულებული **36** ხელმოწერის დამოწმებისთვის **144,00** ლარი, + **35,00** ლარი სანოტარო ბიუროს გარეთ შესრულებული მოქმედებისთვის + დღგ: **32,22** ლარი + სანოტარო რეესტრში რეგისტრაციის საფასური **5,00** ლარი, თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილებისა "სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობის, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" 31-ე, 34-ე და 39-ე მუხლისა და საგადასახადო კოდექსის 166 მუხლისა.

I, Notary Irma Sharvadze Notary Bureau located on an address :42 Shartava Str.Tbilisi, I was invited to perform a notarial act at 10 Jugheli, where was addressed by: **José Miguel Santos Gonzalez (born on 10.08.1968, Spanish citizen passport # PAL859388 , Date of issue: 22.04.2021, validity period: 22.04.2031, Address: Spain, Leon, Mozondiga 24250, 17 San Martin Street).**

He presented bilingual (Georgian-English) **Agreement** and requested notarization of his signatures on it.

José Miguel Santos Gonzalez stated that he does not speak Georgian, writes and reads in English. He presented the translator **Manana Gvilava (born on 17.08.1953, personal #62001029329, residing at: apt. 90, block 4, Mukhiani 2 m/d, Tbilisi),** I have established the identity of the invited translator, checked the ability of the interpreter and confirmed that I had no reason to doubt her ability. I warned the translator that she was responsible for the accuracy of the translation. She stated that she is fluent in Georgian and English and guarantees a correct translation. Presented **document proving her knowledge of English language: English Language Translation certificate AC-516, issued on 12.04.2019, by training center of foreign languages)** The parties and the translator confirmed that there were no circumstances precluding an interpreter. I checked: their legal capacity and I confirm that I have no reason to doubt their legal capacity. I certify: The signing of the document was done by them personally in my presence, which I verify.

Note: I don't confirm the authenticity of the facts in the document; I am not responsible for the content and legal results.

Notary fee according to the Resolution of the Government of Georgian, Order, Article 31, 34 and 39, "applying notary fee" and due to the amount established for the Notary Chamber of Georgia "rules of payment and terms of service" and due to the Article 166 of the Tax Code of Georgia. for certification of 36 signatures on a 6-page document In 3 copies **144,00** GEL + For performing the notarial action outside the botany bureau - 35.00 GEL. + VAT **32,22** GEL. Registration fee: 5.00 GEL.

ნოტარიუსი ----------

Notary

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N240939473
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	23.07.2024 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება
ნოტარიუსი	ირმა შარვაძე
სანოტარო ბიუროს მისამართი	თბილისი, ჟ. შარტავას 42
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	591709917
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	95474282788024

—

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

მე, ნოტარიუსი ირმა შარვაძე /სანოტარო ბიურო მდებარე: თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #42/ ვამოწმებ ბეჟან მესხის (დაბ. 17.02.1964წ. პ/ნ: 01014001787, მისამართი: თბილისი ვახტანგ ბოჭორიშვილის ქ. N 37ა ბ. 40) ხელმოწერის ნამდვილობას, რომელიც შესრულებულია ჩემი თანდასწრებით. დოკუმენტზე ხელმომწერთა პირადობა დადგენილია, ქმედუნარიანობა შემოწმებულია.

I, Notary Irma Sharvadze /notary bureau located at the address: 42 Zh. Shartava str., Tbilisi/ certify authenticity of signature executed by **Bejan Meskhi (born 17.02.1964, P/N: 01014001787, address: Tbilisi Vakhtang Bochorishvili st. N 37a b. 40)** in my presence. Identity and capability of the signatories are checked and verified.

დოკუმენტი წარმოდგენილია ქართულ და ინგლისურ ენაზე, ხელმომწერმა განაცხადა, რომ მისთვის ცნობილია შინაარსი და არ საჭიროებს თარჯიმანს.

The document was presented in English and Georgian languages. The signatory declared that he was aware of the content of the document and did not need a translator.

მე, არ ვადასტურებ დოკუმენტში მოყვანილი ფაქტების ნამდვილობას, შინაარსზე და სამართლებრივ შედეგებზე პასუხს არ ვაგებ.

I do not confirm the facts stated in the document, consequently I shall bear no responsibility for the content and legal results of the document.

გადახდილია საზღაური: თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილების (29.12.2011წ. #507 „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობის, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ“) 31-ე და 39-ე მუხლებისა და საქართველოს საგადასახადო კოდექსის 166 მუხლისა.

3 ეგზემპლარზე 6 გვერდიან დოკუმენტზე შესრულებული 18 ხელმოწერის დამოწმებისთვის 72.00 ლარი, დღგ: 12,96 ლარი, რეგისტრაციის საფასური 5,00 ლარი;

Notary fee according to the Resolution of the Government of Georgian, Order # 507, Article 31 and 39, "applying notary fee" and due to the amount established for the Notary Chamber of Georgia "rules of payment and terms of service" dated 29.12.2011 and due to the Article 166 of the Tax Code of Georgia.

For 18 signatures on 6 page document 3 copies of the document –72.00 GEL. VAT 12,96 GEL. Registration fee: 5.00 GEL.

ნოტარიუსი_____
Notary:

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N240939532
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	23.07.2024 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება
ნოტარიუსი	ირმა შარვაძე
სანოტარო ბიუროს მისამართი	თბილისი, ჟ. შარტავას 42
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	591709917
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	29267061007424

—

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

№ 0624-1027564 D 2.12.2024

შპს „ს-5“
ელ-ფოსტა: nika.chitadze74@mail.ru
ტელეფონი: 599 11 11 99; 571 33 31 11

შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერმა“ (შემდგომში „კომპანია“) განიხილა თქვენი განცხადება („კომპანიაში“ რეგისტრირებული IN24-1024590, დათარიღებული 22/11/2024წ.) ალაზანის ქ. #5-ის მიმდებარედ, არმაზის ქ. #31-ში (ს/კ 01.17.01.087.013) სასტუმროს მშენებლობის გენ. გეგმის შეთანხმების შესახებ.

გაცნობებთ, რომ „კომპანიასთან“ გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე (IC24-0972744) თქვენს მიერ წარმოდგენილი გენ. გეგმა შეთანხმებულია. „კომპანია“ არ არის წინააღმდეგი განახორციელოთ სამშენებლო სამუშაოები წარმოდგენილი გენ. გეგმის შესაბამისად.

ქსელის დაზიანების თავიდან აცილების მიზნით, სამუშაოების დაწყების წინ გთხოვთ, დაუკავშირდეთ ,,კომპანიის“ წარმომადგენელს:

მესამე საოპერაციო ცენტრის მენეჯერი ლევან გაგნიძე. ტელ: 591 70 75 06.

დანართი: საპროექტო დოკუმეტაცია - 1 (ერთი) ფურცელი

პატივისცემით,

ივანე გაბიტაშვილი

წყალსადენის ქსელების დირექტორის მოადგილე/
საოპერაციო ცენტრების დეპარტამენტის უფროსი

მ. ლოლაძე
293 11 11 (51 13)

"ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი"
სიტუაციური ნახაზი

IN24-0925855

N



1:500

Coordinate System: WGS 1984 UTM Zone 38N
Projection: Transverse Mercator

- ჭა კანალიზაცია
- წყალმომარაგების ჭა
- მილი კანალიზაცია
- წყალმომარაგების მილი
- წყამომარაგების გვირაგი

gwp

შპს "ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი"
საოპერაციო ცენტრი №3
შეთანხმებულია
ხელმძღვანელი ________
________ 202
რეგ.№ ________
სამუშაოების დაწყების წინ გამოძახებულ იქნას GWP-ს წარმომადგენელი
ტელ. 032 2 93 11 11

IN24-0964804

3/21/2024

GIS სამსახური

სილქნეტი
SILKNET

№ 7064/24-8 "28" 11 2024

შპს „ს-5"-ის დირექტორს
ბატონ ბეჟან მესხს

ბატონო ბეჟან,

თქვენგან შემოსული წერილის (#8-11225; 2211/2024წ.) პასუხად გაცნობებთ, რომ ქ. თბილისში, ალაზნის ქ. #5-ის მიმდებარედ, არმაზის ქ. #31-ში, მიწის ნაკვეთის ს. კოდით 01.17.01.087.013 მიმდებარედ გადის სს „სილქნეტის" მიწისქვეშა კომუნიკაციები, რომელსაც გაწვდით თანდართულ CD დისკზე შეიპ ფაილის ფორმატში. სს „სილქნეტი" არ არის წინააღმდეგი განახორციელოთ სასტუმროს მშენებლობის სამუშაოები ქვემოთ მოცემული პირობების სრული დაცვით.

იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნულ ნაკვეთზე სამუშაოების წარმოებისას სს „სილქნეტის" კუთვნილ ნებისმიერი სახის კომუნიკაციას დაემუქრება დაზიანების საფრთხე, განმცხადებელი(სამუშაოების მწარმოებელი) ვალდებულია:

დაუყოვნებლივ შეაჩეროს სამუშაოები;

აღნიშნული ფაქტი შეატყობინოს სს „სილქნეტი"-ს წარმომადგენელს ელექტრონული ფოსტის(Info.Center@silknet.com) ან ოპერატიული სამსახურის ნომრებზე: 2950029 ან 2932740.

სამშენებლო მოედნის მოწყობის შემთხვევაში სს „სილქნეტის" წარმომადგენლებს უნდა ჰქონდეთ 24 საათიანი დაშვება კუთვნილ კომუნიკაციებთან.

ხაზობრივი ნაგებობის დაზიანების შემთხვევაში დაეკისრებათ ზარალის ანაზღაურების ვალდებულება.

პატივისცემით

ტექნიკური განვითარების და დაგეგმარების
დეპარტამენტის უფროსის მოადგილე
ირაკლი აბაშიძე

საქართველო, 0112 თბილისი, წინამძღვრიშვილის ქ. 95
ტელ.: (+995 32) 2 100000; ფაქსი: (+995 32) 2 100001
სს „სილქნეტი", ს/კ 204566978 www.silknet.com

95 Tsinamdzgvrishvili Street, 0112 Tbilisi, Georgia
Tel.: (+995 32) 2 100000; Fax: (+995 32) 2 100001
JSC „Silknet", I/C 204566978 www.silknet.com

მიწის ნაკვეთის ტოპოგრაფიული აზომვითი ნახაზი

ქალაქი თბილისი, ალაზნის შესახვევი №5-ის მიმდებარედ; არმაზის ქუჩა №31

ს/კ 01.17.01.087.013



ს/ს "სწორქნები"

ტექნიკური პირობები

სატელეფონო ქსელების ტიპი გამოქაბელებულ ოპტიკა

ს/ს "ტელეფონის" წარმომადგენელი

ტელეფონი: 2 95 00 28, 2 93 27 40

ტექნიკური პირობა გაცემულია 26.11.24წ.

ნებისმიერი ცვლილება

ნებისმიერი ცვლილება

საქართველო, თბილისი 0119, ვანის ქ. 3
ელ. ფოსტა: telasi@telasi.ge
ტელ: +995 (32) 277 99 99
www.telasi.ge

სნ 202052580

N: 1205/212/24

05/12/2024

შპს ,,ს-5"-ს დირექტორს

ბ-ნ ბეჟან მესხს

20.11.2024 #1120/353/24 განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ წარმოდგენილი პროექტი (გენ.გეგმა ს.კ.01.17.01.087.013) დღევანდელი მდგომარეობით შეესაბამება ელექტრული ქსელების ხაზობრივი ნაგებობების დაცვის წესებსა და ზონებს (საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის #366 დადგენილება, დანართი ელექტრული ქსელების ხაზობრივი ნაგებობების დაცვის წესი და მათი დაცვის ზონები).

სს ,,თელასის" გენერალური

დირექტორის მ.შ. ა. ბალჩუგოვი

შემს.შრომის დაცვისა და სახ. უსაფრთხოების

განყ. უფროსის მ.შ. გ. პატარქალიშვილი

ტელ. 2 77 99 99 1(7959)

მიწის ნაკვეთის ტოპოგრაფიული აზომვითი ნახაზი

ქალაქი თბილისი, ალაზნის შესახვევი №5-ის მიმდებარედ; არმაზის ქუჩა №31

ს/კ. 01.17.01.087.013

Studio9 Architectural Design



წარმოდგენილი პროექტი შეესაბამება ელექტრული ქსელების საზღვრივი ნაგებობების დაცვის წესებსა და ზონებს

შეთანხმების თარიღი 5.12.24

შეთანხმებულია

შენიშვნა: ტოპოგრაფიულ ნახაზზე ხაზიანი ნაკვეთები დატანილია რეესტრირებული მონაცემებიდან

პირობითი აღნიშვნები	შენიშვნა: მიწის სამუშაოები შეათანხმეთ კომუნიკაციის წარმომადგენლებთან			პროექცია: UTM 38N საკოორდინატო სისტემა: WGS 84	ს/ნ 53001014065
მიწისქვეშა კომუნიკაციები	ნაკვეთის საზღვარი	ბუჩქი ვაზი გაზონი	ცოცხალი ღობე	ღობე	თბილისი, [illegible] ქუჩა №30 მობ. +995 598 18-04-18 trimblem3@gmail.com
კანალიზაცია	შენობა		ხეების რიგი	ბორდიური	
დენის კაბელი	არკა	სამეთვალყურეო ჭები	ტრანსფორმატორი	ბეტონი	შეადგინა
	ფარდული	ძეგლი	რადიო ან ტელე ანძა	კედელი	
გაზის მილი	კიბე	შადრევანი	ლამპიონები	საყრდენი კედელი	აზომვის შემსრულებელი
	ფოთლოვანი ხე	ონკანი	ელექტრო ბოძი	ბილიკი	
წყლის მილი	წიწვოვანი ხე	წყარო ან ჭა	რკინიგზა	გზის კონტური	დამკვეთი
	ხეხილის ხე	[illegible]	იზოჰიფსი	ფლატე	
კავშირგაბმულობა	პალმა	[illegible]	მთავარი იზოჰიფსი	წყლის კონტური	მასშტაბი 1:500 | 12.11.2024

თბილისი
ენერჯი

მიცკევიჩის ქ. №18ა, თბილისი, 0194, საქართველო
ს/კ 205129617 +995 (32) 2404004; info@te.ge; www.te.ge

№ 02-01-69172-24
28 / 11 / 20 24

შპს „ს-5"-ის დირექტორს
ბეჟან მესხს

ბატონო ბეჟან,

თქვენი მიმდინარე წლის 20 ნოემბრის №02-01-69172-24 წერილის პასუხად, რომელიც ეხება ქალაქი თბილისი, არმაზის ქუჩა №31-ში (საკ. კოდი №01.17.01.087.013) არსებული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენასთან დაკავშირებით პოზიციას გაცნობებთ, რომ კომპანიაში არსებული მონაცემთა ბაზის მიხედვით აღნიშნულ საკადასტრო ერთეულზე გადის შპს „თბილისი ენერჯი"-ს კუთვნილი მიწისქვეშა დაბალი წნევის გაზსადენი.

კომპანია არ არის წინააღმდეგი მოიპოვოთ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები შემდეგი მოთხოვნების გათვალისწინებით:

- აუცილებელია სამშენებლო სამუშაოების შეთანხმება შპს „თბილისი ენერჯი"-სთან;
- სამშენებლო სამუშაოების შეთანხმების ეტაპზე დაზუსტდება გაზსადენის ზუსტი ტრაექტორია. იმ შემთხვევაში, თუ გაზსადენი კვეთს მიწის ნაკვეთს აუცილებელია განხორციელდეს მისი საკადასტრო ერთეულის წითელი ხაზებიდან გადატანა/მარშრუტის ცვლილება. საპროექტო და სამშენებლო სამუშაოების თანხების ანაზღაურებას და საჭიროებისამებრ, სამუშაოების წარმოებისთვის აუცილებელი ნებართვების მოპოვებას უზრუნველყოფს დამკვეთი;
- სამშენებლო სამუშაოების განხორციელებისას გათვალისწინებული უნდა იყოს რეკონსტრუირებული გაზსადენის შეზღუდვის არეალი შენობა-ნაგებობის საძირკვლამდე საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2010 წლის 14 აპრილის №1-1/525 ბრძანებით დამტკიცებული „გაზის სისტემების უსაფრთხოების ზოგადი მოთხოვნები"-ს მიხედვით.

საჭიროებისამებრ, გენგეგმის დამოწმება კომპანიის მხრიდან მოხდება სამშენებლო სამუშაოების შეთანხმების ეტაპზე.

აღნიშნული შეთანხმება დაუშვებელია გამოყენებულ იქნას სამშენებლო სამუშაოების ნებართვის მიღების მიზნით. წერილში მითითებული პირობების დარღვევა გამოიწვევს შეთანხმების გაუქმებას.

პატივისცემით,

გიგლა თამაზაშვილი
დირექტორი ტექნიკურ საკითხებში

IOS QR Android QR

25.07.2023

N23-783/ზ.მ

შპს „ს-5“-ის წარმომადგენელს
ბ-ნ ბეჟან მესხს
ტელ: 599 111 199
ქ. თბილისი, ბოჭორიშვილის ქ. №37ა, ბ. N40

თქვენი 24.07.2023 წლის განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ მითითებულ მისამართზე, ქ. თბილისში, არმაზის ქუჩაზე და მის მიმდებარედ გადის შპს „ახალი ქსელები“-ს ხაზოვანი ნაგებობა.

შპს “ახალი ქსელები’’ არ არის წინააღმდეგი აწარმოოთ კანალიზაციის ქსელის გადატანის სამუშაოები იმ პირობით, რომ აღნიშნული სამუშაოები ჩატარდება ტექნიკური ნორმებისა და უსაფრთხოების ტექნიკის დაცვით და არ დაზიანდება ჩვენს კუთვნილებაში არსებული კომუნიკაციები.

ჩვეხი საკუთრების ნებისმიერი დაზიანების შემთხვევაში, ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებულება გეკისრებათ თქვენ.

ხაზობრივი ნაგებობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, აუცილებელია თქვენს მიერ, სამუშაოების დაწყების წინ, მოხდეს ჩვენი კომპანიის წარმომადგენლის გამოძახება შემდეგ სატელეფონო ნომერზე : 11 00 00

იხ. დანართი: 1) ტექ. პირობა
2) სიტუაციური ნახაზი
3) შეთანხმებული პროექტი

პატივისცემით,
დირექტორი / ი. ინჯია /

შემსრ: ზ. მაჭავარიანი
ტელ: 577 281 771

დანართი : #1

შ.პ.ს "ახალი ქსელები" თანახმაა, ქვემოთ მოცემული პირობების დაცვით შესრულდეს განმცხადებელის მიერ წარმოდგენილი პროექტით გათვალისწინებული სამუშაოები:

1.

დაშორება საპროექტო ხაზოვან ნაგებობასა და შ.პ.ს "ახალი ქსელები"-ს მიწისქვეშა ხაზოვან ნაგებობას შორის დასახლებულ პუნქტებში, ტრასის გასწვრივ, ნაგებობის განაპირა ხაზიდან, ტრასის ორივე მხარეს უნდა იყოს არანაკლებ 0,5 მეტრის სიგანის ზოლი.

2.

დაშორება საპროექტო ხაზოვან ნაგებობასა და შ.პ.ს "ახალი ქსელები"-ს საჰაერო ხაზებს შორის, მათი ტრასის გასწვრივ, ნაგებობის განაპირა ხაზიდან, ტრასის ორივე მხარეს უნდა იყოს არანაკლებ – 0,5 მეტრის სიგანის ზოლი.

3.

შ.პ.ს "ახალი ქსელები"-ს მხრიდან, იგივე (ან მიმდებარე) ტერიტორიაზე ხაზოვანი ნაგებობის მშენებლობა/რეკონსტრუქციის პროცესში შესაძლო დაზიანების თავიდან აცილების მიზნით, განმცხადებლის მიერ სარპოექტო ხაზოვანი ნაგებობის ზემოთ, არანაკლებ 0.15 მ-ის დაშორებით, ჩაიდოს გამაფრთხილებელი ლენტი.

4.

შ.პ.ს "ახალი ქსელები"-ს ხაზოვანი ნაგებობის გადაკვეთის შემთხვევაში სამუშაოები შესრულდეს ხელით.

5.

შ.პ.ს "ახალი ქსელები"-ს ხაზოვანი ნაგებობის გადაკვეთის შემთხვევაში, განმცხადებლის კომუნიკაციები მოთავსდეს შ.პ.ს "ახალი ქსელები"-ს ხაზოვანი ნაგებობის ქვემოთ, არანაკლებ 0,2 მეტრის დაშორებით.

6.

